საჯარო სამართლის იურიდიული პირი _
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/14

ქ. ბათუმი 01 თებერვალი, 2021 წ.

,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების (ამ დადგენილებაში საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილებით შეტანილი ცვლილების), ,,სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID 19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის N01-227/ო ბრძანების, ,,ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 მაისის N01-02/47 ბრძანების, ,,ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის დამტკიცებისა და 2020-2021 სასწავლო წლის ზოგიერთი საორგანიზაციო ღონისძიების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 1 ოქტომბრის N01-02/130 ბრძანების, „2020-2021 სასწავლო წელს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 26 ნოემბერის ბრძანების (MES 2200001127365), ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 6 აგვისტოს N06-01/44 დადგენილების და **,,უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ"** საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N698 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N01-02/152 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების დანართი 1-ით დამტკიცებულ აკადემიური

კალენდარის პირველი პუნქტის **„ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები** ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 25 იანვრიდან 17 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 19 თებერვლიდან 27 თებერვლის ჩათვლით;
ვ) გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა მიერ აკადემიური რეგისტრაცია/აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 27თებერვალი - 06 მარტი;“.

2. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით მომზადდეს კოდიფიცირებული აკადემიური კალენდარი და განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ასევე ველში „აკადემიური კალენდარი“), ხოლო სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს სტუდენტებს და პერსონალს.
3. ფაკულტეტებმა უზრუნველყონ წინამდებარე ბრძანების შესახებ შესაბამისი ფაკულტეტის სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირება.
4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, „ელექტრონული სწავლების მართვის ჯგუფის წევრებს (ბსუ-ს რექტორის N01-02/130, 01.10.2020 ბრძანების მიხედვით), დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და ყველა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობითი დადგენილი წესით, მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**